

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

### ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კ ა ნ ო ნ ზ ე „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების მიზეზია სატრანსპორტო საგზაო ბარათის გაუქმების გამო საქართველოს კანონმდებლობაში არსებული შეუსაბამობის აღმოფხვრა.

##### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტი მომზადებულია საკანონმდებლო ვაკუუმის აღმოფხვრის მიზნით. სატრანსპორტო საგზაო ბარათის გამოყენებისა და წარმოების წესი განისაზღვრებოდა საქართველოს ტრანსპორტის, ეკონომიკის, ფინანსთა და შინაგან საქმეთა სამინისტროების, საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის და სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტების 1998 წლის 22 ივნისის №38 ბრძანების შესაბამისად, რომელიც გაუქმდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების, ფინანსთა და შინაგან საქმეთა სამინისტროების 2006 წლის 15 მარტის №1-1/210, 206, 353 ერთობლივი ბრძანებით.

ხელშეწყობის გათვალისწინებით კანონპროექტების მიღება აუცილებელია, რათა საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 127<sup>1</sup> მუხლის მიხედვით დაწესებულია ჯარიმა იმ საბუთის წარმოებისა და გამოყენების წესის დარღვევაზე, რომელიც არ არსებობს და გაუქმებულია მისი წარმოების წესი.

##### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტი ითვალისწინებს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 127<sup>1</sup> მუხლის ახლებურ რედაქციას, რომლის თანახმადაც უქმდება ჯარიმა 100 ლარის ოდენობით საავტომობილო ტრანსპორტზე სატრანსპორტო საგზაო ბარათის წარმოებისა და გამოყენების წესების დარღვევისათვის. შესაბამისად, 127<sup>1</sup> მუხლის ახალ რედაქციაში მე-4 ნაწილი გათვალისწინებული აღარ არის.

გარდა ამისა, 127<sup>1</sup> მუხლის შენიშვნის ახალი რედაქციით აღარ არის გათვალისწინებული აღნიშნული მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის დღეს მოქმედი რედაქცია. შესაბამისად, მძღოლს აღარ ექნება პოლიციელისთვის სატრანსპორტო საგზაო ბარათის წარმოდგენის ვალდებულება. ამასთან, სატრანსპორტო საგზაო ბარათის არქონის შემთხვევაში აღარ შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი.

#### ბ) კანონის ცვლილების პროექტის ფინანსური დასაბუთება:

##### ბ.ა) კანონის ცვლილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონის ცვლილების პროექტის მიღება არ მოითხოვს ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

##### ბ.ბ) კანონის ცვლილების პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონის ცვლილების პროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

##### ბ.გ) კანონის ცვლილების პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონის ცვლილების პროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები**

კანონების ცვლილების პროექტების მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას

**ბ.ე) კანონის ცვლილების პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება**

კანონის ცვლილების პროექტის მიღება არ გააუარესებს საავტომობილო ტრანსპორტირების პროცესში მონაწილე პირთა ფინანსურ მდგომარეობას.

**ბ.ვ) კანონის ცვლილების პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)**

ცვლილება არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის გადახდას.

**გ) კანონის ცვლილების პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონის ცვლილების პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან**

კანონპროექტები არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს

**გ.ბ) კანონის ცვლილების პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან**

კანონის ცვლილების პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებული ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონის ცვლილების პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან**

კანონის ცვლილების პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

**დ) კანონის ცვლილების პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონების ცვლილების პროექტების შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.**

კანონის ცვლილების პროექტი შემუშავებულია საქართველოს ეკონომიკურ განვითარების სამინისტროს მიერ.

**დ.ბ) კანონის ცვლილების პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტების მიმართ**

კანონის ცვლილების პროექტი არ ყოფილა წარდგენილი დამოუკიდებელი ექსპერტებისათვის.

**დ.გ) კანონის ცვლილების პროექტის ავტორი**

კანონების ცვლილების პროექტების ავტორია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

**დ.დ.) კანონის ცვლილების პროექტის ინიციატორი.**

კანონების ცვლილების პროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.